პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი № 192 (11803) | პარასკევი, 19 აგვისტო, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

გუშინ ჩაის პლანტაციებში

◆ მახარაძე. გეგმით გათვალისწინებული 27.400 ტონადან რაიონში. მოკრეფილია 27.060 ტონა ჩაი. გუშინ მოიკრიფა 233 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. მიუხედავად იმისა, რომ ჩაის კრეფის წლიური გეგმის შესრულება დასასრულს უახლოვდება, რაიონის მეჩაიეები აჩქარებენ ჩაის კრეფის ტემპს, რათა პირნათლად შეასრულონ ნაკისრი ვალდებულება და სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მისცენ 2.200 ტონა ჩაი.

სოფელ ძმითის კოლმეურნეობა „ახალგაზრდა კომუნისტის“ მეჩაიემ თამარ ტუღუშმა გუშინ 115 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა, ვენერა თავდიშვილმა — 80.

სოფელ მზიანის კოლმეურნეობაში ქსენია დოლიძემ გუშინ 95 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა, ხაშა მგელაძემ — 88, სოფელ ბაღდადის ეგნატე ნინოშვილის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიემ თინა გომელაურმა გეგმით გათვალისწინებული 25-ის ნაცვლად 70 კილოგრამი ჩაი მოკრიფა, ამავე კოლმეურნეობაში ოლია ჩხაიძემ — 65.

◆ წულუკიძე. ჩაის კრეფაში თავი ისახელა ქ. წულუკიძის ყანაოვის სახელობის კოლმეურნეობის მკრეფავმა ლილი ბახტაძემ, რომელმაც ნაკისრი ვალდებულების გადამეტებით სახელმწიფოს ჩაბარა ორი ტონა ჩაის მარცხნივანი მწვანე ფოთოლი. გუშინ მან 80 კილოგრამი ჩაი მოკრიფა.

◆ აბაშა. სოფელ ძველი აბაშის ძერეულის სახელობის კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა ჩაის კრეფის წლიური გეგმა — ანგარიშს ეწევა ნაკისრი ვალდებულების ანგარიშში.

სოფელ ნორიოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიემ თალიკო ბოკუჩავამ გუშინ 40 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა და კრეფის დღიური ნორმა სამასი პროცენტით შეასრულა. ნადია გვაზავამ ამავე დღეს 35 კილოგრამი ჩაი მოკრიფა.

ს. იაკობაშვილი ნერგავს პატონის მეთოდებს



ეს იუო ერთი თვის წინათ. ამერიკაკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მთავარი მექანიკოსის კაბინეტში გაცხოველებით კამათობდნენ, როგორ დაეჩქარებინათ საწარმოში შედუღების პროგრესული მეთოდების დანერგვა.

სიტყვა ითხოვა ახალგაზრდა ინჟინერმა.

— არალეგირებული ფოლადების დეტალის შედუღების მეთოდს, — მიმართა მან დამსწრეთ, — ახლა სულ უფრო ფართოდ იყენებენ ჩვენს ქვეყანაში. ამ მეთოდის უპირატესობას განსაკუთრებით გაეცნა ხაზი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე.

მას მოჰყავს ციფრები: პატონის მეთოდის დანერგვით 5-ჯერ და უფრო მეტად მაღლდება დეტალის გამძლეობა, მცირდება მეტად ძვირფასი ქრომისებური ლითონების ხარჯვა, სახელმწიფო იღებს მილიონობით მანეთის მოგებას.

ეს ინჟინერი იყო უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიევის ე. ო. პატონის სახელობის ელექტროშედუღების ინსტიტუტის ასპირანტი სოზარ იაკობაშვილი, რომელიც თავის უკრაინელ მეგობარ ვალენტინ ბურთან ერთად ჩამოვიდა რუსთავში, რომ მეტალურგებს დახმარებოდა შედუღების პროგრესული მეთოდების დანერგვაში.

ს. იაკობაშვილმა 1956 წელს დაამთავრა საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. სამუშაოდ ამერიკაკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში გაგზავნეს. იგი სწავლის დროს დაინტერესებული იყო შედუღების საკითხებით და შეეძლო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე პირდაპირ ასპირანტურაში მოწყობილიყო. ემუშაენა ამ თემაზე, მაგრამ წარმოების პრაქტიკული ცოდნის მიუღებლად ძნელი იქნებოდა წარმატების მიღწევა.

მეფოლადის მესამე, შემდეგ მეორე და პირველი ხელისშემწყობი, მეფოლადე, ოსტატი — აი საფეხურები. რომლებიც მან გაიარა ქარხანაში სამი წლის მუშაობის მანძილზე.

1959 წელს ნიჭიერი ახალგაზრდა სპეციალისტი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტში მოწყო უმცროს მეცნიერ მუშაკად. მალე ინსტიტუტმა გამოაცხადა კონკურსი შედუღების საკითხებზე. ს. იაკობაშვილმა კონკურსში გაიმარჯვა. იგი სამი წლით ე. ო. პატონის სახელობის ინსტიტუტში გაგზავნეს. ჯერ მხოლოდ ერთი წელი გავიდა, მაგრამ ნიჭიერმა ქართველმა სპეციალისტმა უკვე საკმაო წარმატებას მიაღწია.

ს. იაკობაშვილმა და ვ. ბურმა გარკვეული მუშაობა გაუწიეს მეტალურგიულ ქარხანაში შედუღების პროგრესული მეთოდების დანერგვისათვის. პირველ რიგში მათ ყურადღება მიაქციეს მილსაგლინავი საამქროს სახაზავების დადუღებას. საქმე ის არის, რომ ამჟამად სახაზავებს მეტად ძვირი მაღალქრომიანი ფოლადისაგან ამზადებენ, პატონის მეთოდი ითვალისწინებს მის შეცვლას ჩვეულებრივი ფოლადით, რომელზეც დადუღდება ცვეთაგამძლე მაღალლეგირებული ფოლადი. წინასწარი გამოანგარიშებით ამ მეთოდის დანერგვის შემდეგ 4-5-ჯერ გაიზრდება სახაზავების გამძლეობა.

მეცნიერი მუშაკები ასევე ინტენსიურად მუშაობენ ბლუმინგის დგან „1000“-ზე ცხელი ჭრის დანების დადუღებისათვის. ამ სიახლის მნიშვნელობა ის არის, რომ დანების ზედაპირს ადუღებენ ახალი ელექტროდის ლენტით, რაც ჯერ წარმოებაში ასად არ არის გამოყენებული. დანების გამძლეობა ამ შემთხვევაში 4-ჯერ გაიზრდება.

ახალგაზრდა ასპირანტის ს. იაკობაშვილის მუშაობაში ერთ-ერთი ძირითადი თემაა ბლინების დადუღების პრობლემის ახლებურად გადაჭრა. ამ მხრივ საგამოცდო სამუშაოები დგან „500“-ზე ეწყობა. მოკლე ხანში აქ მოხდება გაცვეთილი ზედაპირის დადუღება ცვეთაგამძლე მაღალლეგირებული ლითონით.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

* * *

სურათზე: ს. იაკობაშვილი (მარცხნივ) და ვ. ბური.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ფიდელ კასტრო მადლობას უხდის საბჭოთა ხალხს

კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ სპასუხო დეპეშა გამოუგზავნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს, რომელშიც გამოთქვა უღრმესი მადლობა მილოცვისათვის „26 ივლისს მოძრაობის“ მე-7 წლისთავის გამო, აგრეთვე გულითადი მადლობა კუბელი ხალხისადმი თანაგრძნობისათვის.

ფ. კასტრო მადლობას უხდის საბჭოთა ხალხს სოლიდარობისათვის, რომელიც, როგორც იგი წერს, უცილობლად მოწმობს იმას, რომ ხალხები, რომლებიც თავიანთი დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან, მარტონი არ არიან. (საკდესი).

სახელოვანი მეჩაიე

„მწვანე ოქროს“ ოსტატი! — ასე უწოდებენ სოფელ შუა განახლების

კოლმეურნეები თავიანთ სახელოვან თანამემამულეს ეთერ ჯიბუტს.

წლების მანძილზე მას იშვიათად თუ ვინმე გატოლებია. ამიტომაც ეთერის მკერდზე კარგა ხანია კიაფობს სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავი და საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ნიშანი.

შვიდწლედის მეორე წელს ეთერ ჯიბუტმა კვლავ ასახელა სამშობლო. სეზონის დაწყებიდან ყოველდღიურად სარეკორდო რაოდენობით კრეფს ჩაის მწვანე ფოთოლს. მას დღეისათვის მოკრეფილი აქვს რვა ათასი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ახლა კი ვალდებულება იკისრა — სეზონის დამთავრებამდე დამატებით მოკრიფოს 1.000 კილოგრამი ჩაი.

სურათზე: ე. ჯიბუტი.

დიდი შრომითი წარმატება

საქართველოს კპ წყალტუბოს რაიკომის მდივანს ამხანაგ ბ. ვ. გაგოშიძეს

წყალტუბოს რაიალმასკომის თავმჯდომარეს ამხანაგ ს. ს. რუსაძეს

საქართველოს ალკკ წყალტუბოს რაიკომის მდივანს ამხანაგ ზ. ნ. სართანიას

წყალტუბოს რაიონის ყველა მშრომელს

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გილოცავენ დიდ შრომითს წარმატებებს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმის 100,1 პროცენტით, კვერცხის 100 პროცენტით, რძის მიყიდვის ცხრა თვის გეგმის 100,3 პროცენტით, კურკოვანი ხილის მიყიდვის წლიური გეგმის 113 პროცენტით შესრულებაში.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში მიღწეული წარმატებანი მოპოვებულია კოლმეურნეთა თავდადებული შრომის, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის ორგანიზატორული მუშაობის, კოლმეურნეობათა შემდგომი ეკონომიური განმტკიცების შედეგად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სრულ რწმენას გამოთქვამენ, რომ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისა და სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხის, ხილისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის აგრეთვე მათი თვითღირებულების შემცირების 1960 წლის მაღალი ვალდებულებანი, რომლებიც თქვენ იკისრეთ, წარმატებით იქნება შესრულებული.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი | **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

საქართველოს კპ ბორჯომის რაიკომის მდივანს ამხანაგ ჯ. ნ. ლომაშვილს

ბორჯომის რაიალმასკომის თავმჯდომარეს ამხანაგ ა. ი. მაისურაძეს

საქართველოს ალკკ ბორჯომის რაიკომის მდივანს ამხანაგ რ. ა. ნინიძეს

ბორჯომის რაიონის ყველა მშრომელს

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გილოცავენ დიდ შრომითს წარმატებებს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმის 100,4 პროცენტით, რძის 100,5 პროცენტით, კვერცხის 113,4 პროცენტით შესრულებაში.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში მიღწეული წარმატებანი მოპოვებულია კოლმეურნეთა თავდადებული შრომის, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის ორგანიზატორული მუშაობის, კოლმეურნეობათა შემდგომი ეკონომიური განმტკიცების შედეგად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სრულ რწმენას გამოთქვამენ, რომ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისა და სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის, აგრეთვე მათი თვითღირებულების შემცირების 1960 წლის მაღალი ვალდებულებანი, რომლებიც თქვენ იკისრეთ, წარმატებით იქნება შესრულებული.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი | **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

ლ. ტოლსტოის ნაწარმოებთა ახალი გამოცემანი

ლ. ნ. ტოლსტოის გარდაცვალების 50 წლისთავისადმი ჩვენი ქვეყნის წიგნის მაღაზიებში გაჩნდა მრავალი ახალი გამოცემანი.

მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ მოამზადა „ომი და ზავი“ მხატვარ ვ. ა. სეროვის მშვენიერი ილუსტრაციებით. რომანის პირველი ტომი უკვე გამოვიდა. 150 ათასი ცალი ტირაჟით გამოიცა რომანი „აღდგომა“. მკითხველებმა მიიღეს აგრეთვე მოთხრობების ორტომეული.

მიმდინარე წელს გამოიცემა გენიალური მხატვრის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი მრავალი მეცნიერული შრომა და გამოკვლევა. უკვე გამოვიდა ცნობილი წიგნი „ვ. ი. ლენინი ტოლსტოის შესახებ“. ლ. ნ. ტოლსტოის სახელმწიფო მუზეუმისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ა. მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლებმა მოამზადეს სტატიების კრებული „ლ. ნ. ტოლსტოის შემოქმედება.“ გარდა ამისა გამოქვეყნდება ფუნდამენტური შრომები — ნ. გუსისა „ლ. ნ. ტოლსტოის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე (1891-1910 წლები)“, ვ. ერმილოვისა „ლ. ნ. ტოლსტოი — მხატვარი“. წიგნების ტირაჟი 4 მილიონია.

დარბაზობა ინდონეზიის რესპუბლიკის საელჩოში

17 აგვისტოს ინდონეზიის რესპუბლიკის ელჩმა საბჭოთა კავშირში ადამ მალიქმა დარბაზობა გამართა ეროვნული დღესასწაულის — დამოუკიდებლობის გამოცხადების დღის გამო.

დარბაზობაზე იყვნენ ამხანაგები ა. ი. მიკოიანი, დ. ს. პოლიანსკი, სსრ კავშირის მინისტრები ნ. ა. ლესეჩკო, ს. ვ. კურასოვი, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარენი ვ. ს. ემელიანოვი, ვ. ი. ზელენკო, ს. ა. სკაჩკოვი, საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ქ. ბაგრამიანი, სსრ კავშირის მინისტრთა მოადგილენი ა. ნ. კოსიგინი, გ. მ. პუშკინი, ნ. ნ. სენელიაკოვი, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეთა მოადგილენი ი. ვ. არხიპოვი, კ. ს. კრიუკოვი, ს. ქ. რომანოვსკი, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, მთელ რიგ სამინისტროთა და უწყებათა პასუხისმგებელი თანამშრომლები.

სტუმრებს შორის იყვნენ სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, საელჩოთა თანამშრომლები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები. (საკდესი).

საზეიმო სხდომა მოსკოვში

17 აგვისტოს საბჭოთა არმიის ცენტრალურ თეატრში გაიმართა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს საზეიმო სხდომა პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებთან ერთად, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეს.

პრეზიდიუმში იდგილები დიაკავეს საბჭოთა კავშირის მარშლებმა ა. ა. გრეჩკომ, მ. ვ. ზახაროვმა, ავიაციის მთავარმა მარშალმა კ. ა. ვერშინინმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა ს. მ. ბუდიონნმ, ჯარის გენერლებთა-მარშლებმა ავიაკონსტრუქტორებმა, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის გენერლებმა, ადმირალებმა, ოფიცრებმა, საავიაციო მრეწველობის სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მუშაკებმა.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საბჭოთა არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდალმა ავიაციის მთავარმა მარშალმა კ. ა. ვერშინინმა.

სხდომის მომწვლელებმა საპატიო პრეზიდიუმში დიდი აღფრთოვანებით აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი.

სხდომაზე მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს: მოსკოვის საქალაქო პარტიული ორგანიზაციისა და დედაქალაქის მშრომელთა სახელით — სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ვ. ი. სტეპაკოვმა, საავიაციო მრეწველობის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა სახელით — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საავიაციო ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ს. მ. ლეშჩენკომ, მოსკოვის ოლქის კოლმეურნეთა სახელით — კოლმეურნეობა „ბოსტნის გიგანტის“ ბრიგადირმა ვ. ა. ეიგაევამ, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სახელით — საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. მ. მირონენკომ.

სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომები გაიმართა აგრეთვე ლენინგრადში, ბაქოში, რიგაში, ტალინში, მინსკში, ვილნიუსში, უფასა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში. (საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

მდინარე ნემანზე კაუნასის ჰიდროელექტროსადგურის აგებაში მიღწეული წარმატებებისათვის და კიდამდე ამუშავებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა კაუნასის ჰიდროელექტროსადგურის 100 მშენებელი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: სამშენებლო უბნის უფროსი ი. მ. ველინიშკისი, ბულდოზერისტი ბ. ს. დოროშინი, „სპეციჰიდროელექტრომონტაჟის“ ტრესტის მემონტაჟეთა ბრიგადირი ნ. ვ. ზახაროვი, მებეტონეთა ბრიგადირი ი. ბ. პერასი და მეარმატურეთა ბრიგადირი ბ. ი. რეკიავიჩიუსი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 15, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 20, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 30 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“—30 კაცი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება — გადასცეს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას რუმინეთის საარქივო მასალები, რომლებიც საბჭოთა არმიამ გადაარჩინა 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის დროს და ინახებოდა სსრ კავშირის სახელმწიფო არქივებში.

გადასაცემი საარქივო მასალები შეეხებიან 1811-1944 წლების პერიოდს და დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვთ რუმინეთის ისტორიის შესწავლისათვის.

სასამართლო პროცესი

ამერიკელი მფრინავის ჯაუშ ფრენსის ჰ. პაუერსის სისხლის სამართლის საქმეზე

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 1960 წლის 18 აგვისტოს სხდომა

18 აგვისტოს მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, გრძელდებოდა სასამართლო პროცესი ამერიკელი მფრინავის ჯაშუშ ფრენსის ჰ. პაუერსის სისხლის სამართლის საქმეზე.

დილის სხდომის დასაწყისში ბრალდებულმა უპასუხა დამცველის — ადვოკატ მ. ი. გრინიოვის კითხვებზე. შემდეგ მთელი რიგი დამაზუსტებელი კითხვები ბრალდებულს მისცა სახელმწიფო ბრალმდებელმა — სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა რ. ა. რუდენკომ.

შემდეგ ბრალდებულმა უპასუხა სასამართლოს კითხვებზე: სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარის იუსტიციის გენერალ-ლეიტენანტ ვ. ვ. ბორისოგლებსკისა და სახალხო მსაჯულების: ავიაციის გენერალ-მაიორ ა. ი. ზახაროვისა და არტილერიის გენერალ-მაიორ დ. ზ. ვორობიოვის კითხვებზე.

სასამართლომ მოისმინა მოწმეების პ. ა. ასაბინის, ა. ფ. ჩერემისინის, ლ. ა. ჩუჟაკინისა და ვ. პ. სურინის ჩვენებანი.

სასამართლომ მოისმინა ექსპერტების: პოლკოვნიკ ნ. ა. ალექსეევის, ინჟინერ-პოდპოლკოვნიკ ი. ვ. ტიუფილინის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ გ. ა. ისტომინის, ინჟინერ-პოლკოვნიკ რ. ა. ანდრეევის დასკვნები. (საკდესი).

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 18 აგვისტოს საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა ექსპერტების: უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ინჟინერ-პოლკოვნიკ კ. ვ. ვორონმილოვის, ინჟინერ-პოდპოლკოვნიკ ნ. მ. ბურმისტროვ-ზუევის, რუსეთის სფსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ ვ. ი. პროზოროვსკისა და პოლკოვნიკ ი. ი. ჟდახოვის დასკვნები.

სასამართლოს შემდეგი სხდომა გაიმართება ა. წ. 19 აგვისტოს 10 საათზე. (საკდესი).

„საბჭოთა სასამართლოს ღირსება დიდ შთაგონებლობას ახდენს“

ლონდონი, 18 აგვისტო. (საკდესი). ინგლისის პრესის მთელ ყურადღებას იპყრობს ამერიკელი ჯაშუში მფრინავის პაუერსის სასამართლო პროცესი, რომელიც გუშინ დაიწყო მოსკოვში. ყველა გაზეთი თვალსაჩინო ადგილზე ათავსებს დაწვრილებით ანგარიშს სსსამართლოს გუშინდელი სხდომების შესახებ. სათაურებში გამოყოფილია პაუერსის მიერ თავისი დამნაშავეობის აღიარება, აგრეთვე მისი განცხადება იმის შესახებ, რომ მას კარგად ეპყრობოდნენ.

ბევრი ბურჟუაზიული გაზეთის კორესპონდენტთა ცნობები, რომლებიც აღიარებენ საბჭოთა სასამართლოს მიერ კანონიერების მტკიცედ დაცვასა და მის ჰუმანურობას, აბათილებს ყველაზე რეაქციული პრესის ბოროტ ჭორებს, რომელიც წინასწარ გაჟღეროდა პაუერსის „იდეოლოგიური დამუშავების“ შესახებ.

გაზეთ „დეილი ექსპრესის“ კორესპონდენტს როს მარკს, რომელიც სასამართლოს სხდომებს ესწრება, მოჰყავს პაუერსის ოჯახის ადვოკატის განცხადება, რომ, როგორც პაუერსის ყოფაქცევიდან ჩანს, მისთვის ძალა არ დაუტანებიათ. „დარწმუნებული ვარ, — წერს კორესპონდენტი, — რომ გამორიცხულია ყველა ვარაუდი მისი იდეოლოგიური დამუშავების შესახებ“. პაუერსს, არც ერთხელ არ გამოუმეღავნებია იდეოლოგიური დამუშავების მცირეოდენი კვალიც კი“, — ადასტურებს თავის მხრივ აგრეთვე „დეილი მეილის“ კორესპონდენტი ჯონ მოსმანი.

ინგლისელი კრიმინალისტის ლაიონელ დეიჩესის დაწვრილებითს კომენტარში სასამართლოს სხდომის მიმდინარეობის შესახებ, რაც გამოქვეყნებულია გაზეთ „ივნინგ სტანდარტში“, აღნიშნულია სასამართლოს მტკიცე საქმიანი ვითარება და საბჭოთა საზოგადოების თავშეკავება იმ მომენტში, როცა დარბაზში შემოიყვანეს პაუერს. დეიჩესი პროცესს ადარებს ინგლისის სამხედრო სასამართლოს სხდომებს და აღნიშნავს, რომ „სასამართლო გამომძიების დაწყება მოსკოვის ამ პროცესზე თითქმის სავსებით ემთხვევა ინგლისის სამხედრო სასამართლოს პროცედურას... პაუერსს განუმარტეს მისი უფლებები, რომლებიც ფაქტიურად ემთხვევა ბრალდებულთა უფლებებს დასავლეთ ევროპის სასამართლოებში“. დეიჩესი წერს, რომ კანონიერებისა და სასამართლო პროცესის წესების მტკიცედ დაცვა „სასამართლოს ანიჭებს ნამდვილ ღირსებას, რომელმაც არ შეიძლება შთაბეჭდილება არ მოახდინოს“.

აფეთქება ინგლისის ატომურ ცენტრში

ლონდონი, 18 აგვისტო. (საკდესი). 17 აგვისტოს აფეთქებამ ძლიერ დაანგრია შენობა ოლდერმასტონის ატომურ სამეცნიერო-საკვლევ ცენტრში. როგორც ატომური ენერგიის საკითხთა სამმართველოს წარმომადგენელმა განაცხადა, აფეთქებას დიდი ზარალი მოჰყვა. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

აფეთქება ოლდერმასტონის (ბერკშირი) ატომურ სამეცნიერო-საკვლევ ცენტრში მოხდა, როგორც ინგლისის დღევანდელი გაზეთები აღნიშნავენ, წყალბადის ბომბის სახსლეტ მოწყობილობაში ტრინიტროტოლუოლის ჩადების დროს.

მეცნიერები შეძრწუნებული არიან ამ აფეთქებით, წერს გაზეთი „ნიუს ქრონიკლი“, რომელმაც დააზიანა 8 ათას გირვანქა სტერლინგად ღირებული დამამუშავებელი დანადგარი. აფეთქება მოხდა, როცა წარმოებდა 2 გირვანქა ტრინიტროტოლუოლის დამუშავება საექსპერიმენტო ატომური რაკეტებისათვის.

გუშინდელი აფეთქება, აღნიშნავს გაზეთი, — ეს უკანასკნელი 18 თვის განმავლობაში მეორე აფეთქებაა ტრინიტროტოლუოლისა ბერკშირის განსაკუთრებით საიდუმლო სამეცნიერო-საკვლევ ცენტრში, სადაც წარმოებს მუშაობა წყალბადის ბომბის სრულყოფისათვის. უკანასკნელი აფეთქების დროს, რომელიც 1959 წლის თებერვალში განხორციელდა, მოკლულ იქნა ორი კაცი და დაიჭრა ერთი.

გაზეთს მოჰყავს ინგლისის ატომური ენერგიის სამმართველოს წარმომადგენლის განცხადება: „ჩვენ არ შეგვიძლია დავადგინოთ აფეთქების მიზეზი. წარმოებდა ნორმალური რაოდენობის ტრინიტროტოლუოლის დამუშავება, მაგრამ, ეს ვერაგი ნივთიერებაა — იგი მოულოდნელად ფეთქდება, მაშინ, როცა თქვენ სრულიადაც არ მოელით ამას“.

„კაუერსი დამნაშავედ ცნობს თავს“

ტოკიო, 18 აგვისტო. (საკდესი). „პაუერსი დამნაშავედ ცნობს თავს“, „შეერთებული შტატები არღვევენ სუვერენიტეტს“ — ასეთი სათაურებით იაპონიის ყველა გაზეთი პირველ გვერდზე აქვეყნებს დღეს დაწვრილებით ანგარიშს სასამართლო პროცესის პირველი დღის შესახებ, პროცესისა, რომელიც დაიწყო ამერიკელი ჯაშუში მფრინავის პაუერსის სისხლის სამართლის საქმეზე. ამერიკელი ჯაშუშის საქმის შესახებ ანგარიშს გვერდით გაზეთები აქვეყნებენ ეიზენჰაუერის განცხადებას, რომელიც კვლავ ცდილობს გაამართლოს ამერიკის თვითმფრინავების პროვოკაციული ფრენა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

საკითხს თუ ღრმად ჩავუკვირდებით...

გაზეთ „კომუნისტის“ 24 ივნისის ნომერში დაიბეჭდა გურჯაანის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ვ. შავგულიძის წერილი „სოფლის კეთილმოწყობის ორგანიზატორი“.

ამით დაიწყო მეტად საჭირო საქმე — ადგილობრივი საბჭოების — ჩვენი ქვეყნის მმართველობის ამ ძირითადი რგოლის მუშაობის გამოცდილების განზოგადება, იმ ნაკლოვანებათა მხილება, რომლებსაც ჯერ კიდევ ვხვდებით ადგილებზე, და, რაც მთავარია, ადგილობრივი საბჭოების მუშაობის გასაუმჯობესებლად პრაქტიკულ წინადადებათა წამოყენება.



ჩვენ, სოფლად მომუშავე ადამიანებმა, დეპუტატებმა, პარტიულმა და სამეურნეო მუშაკებმა გულდასმით განვიხილეთ ეს წერილი, ღრმად ჩავუკვირდით, ვიმსჯელეთ ჩვენთვის საჭირბოროტო საკითხებზე. ასეთი საკითხები კი უამრავია. ზოგი მათგანი აოსებითია, ზოგიც თითქოს მეორეხარისხოვანი, მაგრამ პრაქტიკულ მუშაობაში მეტად მტკივნეული.

ჩვენ ასე წარმოგვიდგენია. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭო სოფლად მმართველობის ძირითადი ორგანოა. იმაზე, თუ როგორ მუშაობს იგი, როგორ რაზმავს და ხელმძღვანელობს მასებს, დამოკიდებულია სოფლის საერთო წარმატებანი და ნაკლოვანებანიც.

დაუვიწყარია სასოფლო საბჭოების მაორგანიზებელი როლი და აქტივობა რევოლუციის პირველ წლებში, ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში, ქვეყნის რეკონსტრუქციისა თუ სამამულო ომის ქარიშხლიან დღეებში. ამჟამადაც ადგილობრივი საბჭოები, მისი დეპუტატები დაუღალავად შრომობენ დიადი შვიდწლიანი გეგმით დასახული ამოცანების შესასრულებლად.

სხვანაირადაც წარმოუდგენელია. ადგილობრივი საბჭოები რომ პირველი რგოლია, საძირკველია ყველაზე დემოკრატიული, ყველაზე სახალხო საბჭოთა მთავრობისა, რომელსაც პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა მიჰყავს წინ, კომუნიზმის ნათელი გზით.

და თუ ხალხი დღეს მეტ მოთხოვნებს უყენებს ადგილობრივ საბჭოებს, დეპუტატებს, რომ გაძლიერდეს მათი უფლებები, ორგანიზატორული როლი სოფლად, ეს გამომდინარეობს იმ დიადი გარდაქმნებიდან, რაც უკანასკნელ წლებში მოხდა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო მმართველობაში ლენინური პრინციპების მტკიცედ დანერგვის საფუძველზე.

თითხმეტ წელზე მეტია სოხუმის რაიონის სოფელ კელასურის ნ. ბარათაშვილის სახელობის კოლმეურნეობას ვხელმძღვანელობ. ამ ხნის მანძილზე განუწყვეტლივ ვარ სასოფლო საბჭოს დეპუტატი, უკანასკნელი მოწვევის დროს ამირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. სოფლად მუშაობის მრავალი წლის გამოცდილებამ იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ მმართველობის ზოგიერთი ფუნქცია, რომლის განმგებელი ამჟამად კოლმეურნეობები არიან, უნდა ეკუთვნოდეთ ადგილობრივ საბჭოებს. საერთოდ სოფლად შესამჩნევი ხდება სასოფლო საბჭოების ერთგვარი გაუპიროვნება. ეს უფრო ღრმავდება იმით, რომ ზშირად რაიონიდან, ცენტრიდან სოფლად დასახმარებლად თუ მუშაობის შესამოწმებლად ჩამოსული ამხანაგები სასოფლო საბჭოს გვერდს უვლიან, სოფლის სამეურნეო მუშაობის ნაკლსა და მიღწევებს მხოლოდ და მხოლოდ კოლმეურნეობის გამგეობის საქმედ თვლიან. ერთი შეხედვით ეს თითქოს ასე მოგეჩვენებათ, მაგრამ თუ ღრმად ჩავუკვირდებით, თუ გავითვალისწინებთ იმ ნაყოფიერ მუშაობას, რომელსაც ადგილობრივი საბჭოები, დეპუტატები სოფლად ეწევიან, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ სოფლის ავკარგი, კოლმეურნეობის მუშაობის ნაკლიც და მიღწევებიც პირველ რიგში ადგილობრივი საბჭოების კარგი თუ ცუდი მუშაობის შედეგია. ადგილობრივი საბჭო ხომ მთავრობის პირველი უჯრედია სოფლად, პარტიისა და მთავრობის ღონისძიებათა აღმსრულებელია, მაშასადამე, კოლმეურნეობის საერთო საქმიანობის ხელმძღვანელიც არის.

ეს იმის როდი ნიშნავს, რომ გაუპიროვნდეს კოლმეურნეობის გამგეობის როლი, შესუსტდეს მისი უფლება-მოვალეობა.

თუ რამდენად გონივრულად გამოვიყენებთ როგორც ადგილობრივი საბჭოების, ისე კოლმეურნეობების უფლებებსა და მოვალეობას და ამის მიხედვით წარმართავთ მთელ სამეურნეო და პოლიტიკურ მუშაობას, ამაზე დამოკიდებულია საერთო წარმატება სოფლად.

ჩემი აზრით, ურიგო არ იქნება, თუ სასოფლო საბჭოს, მის სესიას უფლება ექნება შეიტანოს ცვლილებები სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებაში, საპროგრამოების შემთხვევაში გააუქმოს კიდეც კოლმეურნეთა საერთო კრების მიერ მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება.

კოლმეურნეთა პირადი მშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის ფონდი, როგორც წესი, კოლმეურნეობას ეკუთვნის. ამის გამო ამ მიწის ნაკვეთებზე ხშირად მშენებლობები არაორგანიზებულად ეწყობა, დაცული არ არის სოფლის განაშენიანების მტკიცე გეგმა. ეს ასე რომ არ ხდებოდეს, ვფიქრობ, ურიგო არ იქნება, თუ პირადი მშენებლობებისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთები ჩამოერთმევა კოლმეურნეობებს და გადაეცემა სასოფლო საბჭოებს.

ვფიქრობ, არც ის იქნება ცუდი, თუ სასოფლო საბჭოს ექნება საკუთარი ბიუჯეტი სოფლის კულტურული და სამეურნეო ხარჯებისათვის (სკოლები, საავადმყოფოები, სამკითხველო-ბიბლიოთეკები, კულტურის სახლები და სხვ.). ეს სხვა დაობიბით მხარეებთან ერთად მოგვცემდა მატერიალურ საშუალებას იმისათვის, რომ სასოფლო საბჭოებმა უფრო მეტად იზრუნონ სოფლის კეთილმოწყობისათვის, მისი გამშვენიერებისათვის.

საჭიროდ მიმაჩნია აგრეთვე ადგილობრივ საბჭოებს უფლობა მიეცეთ მათ სოფლში განლაგებულ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები დაამტკიცონ სასოფლო საბჭოს აღმასკომის სხდომაზე, ხოლო რაიონული საბჭოს აღმასკომისა და პარტიის რაიკომის ნომენკლატურის მუშაკები შეარჩიონ და წარუდგინონ მათ დასამტკიცებლად.

კიდევ ერთი წინადადება. ადრე სასოფლო საბჭოებს უბნის აგრონომები ჰყავდათ. ეს კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სოფლის სხვა სამეურნეო დაწესებულებებთან სასოფლო საბჭოს დამაკავშირებელი, მეტად საჭირო რგოლი იყო. ამჟამად ამ საქმეს რაიინსპექციის აგრონომი ასრულებს. ცხადია, მისთვის ძნელია გასწვდეს ასეთ რთულ და მრავალფეროვან საქმეს. უთუოდ კარგი იქნებოდა ორ ან სამ სასოფლო საბჭოსთან შექმნილიყო ერთი აგრონომის შტატი, რომელიც მოემსახურებოდა ამ საბჭოების ტერიტორიებზე განლაგებულ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

ადგილობრივი საბჭოების მუშაობა, მათი მოღვაწეობა სოფლად უფრო ნაყოფიერი რომ იყოს, მიზანშეწონილი იქნება პრაქტიკაში დაინერგოს ადგილობრივი საბჭოების მუშაკთა მიგზავნება როგორც რესპუბლიკის შიგნით, ისე მოძმე რესპუბლიკების მოწინავე საბჭოების მუშაობის გასაცნობად, ქართულ ენაზე გამოიცეს პოპულარული ბროშურები მოწინავე ადგილობრივი საბჭოების მუშაობის პრაქტიკიდან.

გ. შელია,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი.

ბამბობაში თითქმის ყველა ჩვენგანს უოცნებია მფრინავობაზე, ვარსკვლავებამდე ავფრენილვართ და მთვარიანთვიანაც გადავკრავს მზარი, მაგრამ ყველას როდი აგვხდენია ოცნება!

მფრინავი... თეთრი ღრუბლებისა და ლაჟვარდის შეგობარი, ბაგარი ბულბისა და შეუცდომელი თვალის კაცი, რომელსაც ათასთა ბედი აბარია, ხიცოცხლის დიდი ხიმღერის ხმაზე მიაგუგუნებს თავის ვერცხლისფერ ხომალდს და მიწაზე დარჩენილ ხიყვარულზე ღელინებს...

ხურათზე: საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მოწინავე მფრინავი ა. მეტრეველი.

ფოტო ვ. ბიტლინისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვა სხვაა, საქმე სხვა!

გასულ წელს ხობის რაიონის ხიბულის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ „მწვანე ოქროს“ დამზადების ვალდებულება 109,4 პროცენტით შეასრულა. ეს უმნიშვნელო წარმატება როდი იყო მეურნეობის კოლექტივისათვის. მაგრამ როგორ არის წელს ამ მხრივ საქმე?

მიმდინარე სეზონში ხიბულელებმა ვალდებულება იკისრეს 425 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოეკრიფათ. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიმართვის პასუხად კი მათ იკისრეს დამატებით 10 ტონა ჩაის ნედლეული მიჰყიდონ სახელმწიფოს.

როგორც ხედავთ, დაპირებები დიდია... მაის-ივნისში, როცა ჩაის მწვანე მასა მოზღვავებული იყო, ხიბულელებმა თქვეს, რომ აჩაღებენ ბრძოლას ორ თვეში 200 ტონა ნედლეულის მოსაკრეფად. სამწუხაროდ, ორი თვის ნამუშევრის შეჯამების შემდეგ აღმოჩნდა, რომ არათუ ვალდებულება ვერ შეასრულეს, არამედ სახელმწიფოს 8 ტონა ჩაი დაკლეს.

ივლისში? გახურებული სეზონის ამ თვეშიც მათ ათეულ ტონობით ჩაის ფოთოლი დაკარგეს.

ხიბულელებს ქაღალდზე დაწერილი გეგმები დიდებული აქვთ. დაპირებებში ისიც კია ნათქვამი, რომ წლიურ გეგმას 20 აგვისტოსათვის შეასრულებთო, მაგრამ როცა მათი შრომის შედეგს უყურდები, უნებლიეთ გაგონდება შოთას სიტყვები — სიტყვა სხვაა, საქმე სხვა, შუა უდევს დიდი ზღვარიო.

ხიბულელმა მეჩაიეებმა რომ თავიანთი სიტყვა გაამართლონ, ამისათვის ყოველდღიურად 7.500-8.000 კილოგრამი ჩაი უნდა კრიფონ. სინამდვილეში კი რა ხდება? ყოველდღიურად მხოლოდ 2.500-3.000 კილოგრამ ჩაის კრეფენ.

მეურნეობაში ძირითადი მკრეფავების რიცხვი 155-ს არ აღემატება. ცოტაოა. წუწუნებენ მეურნეობის ხელმძღვანელები, მუშახელი არ გვყოფნისო. მერე და ვისი ბრალია? მეურნეობაში ჩაის ფოთლის ბევრი მკრეფავი, მათ შორის ფ. გვარამია, ვ. მაზუტოვა, პ. ჭკადუა, კ. გრიგოლია თავს არიდებენ მუშაობას. აქ სრულებით არ არის შექმნილი ნორმალური შრომის პირობები.

მაისში მეურნეობის პირველ აგროგანყოფილებაში (მმართველი-აგრონომი ი. შამათავა) დავალება მხოლოდ 67,3 პროცენტით შესრულდა. ცუდ მუშაობაში მათ არც მეორე აგროგანყოფილება (მმართველი-აგრონომი ს. გვეშიანი) ჩამორჩა. ივნისში ეს ჩამორჩენა კვლავ გაგრძელდა, ივლისში კი მეურნეობის ოთხი აგროგანყოფილება სამარცხვინოდ იყო ჩამორჩენილი — ვერც ერთმა ვერ შეასრულა თვიური გეგმა. მეურნეობამ 118.000 კილოგრამი ჩაის ნაცვლად 78.332 კილოგრამი დაამზადა. და ასე გრძელდება სეზონის დაწყებიდან.

რა არის ამ წარუმატებლობის მიზეზი? 10 წელზე მეტია, რაც ხიბულის ჩაის საბჭოთა მეურნეობა ჩამოყალიბდა, და ჯერაც იმაზე ლაპარაკობენ, რომ პლანტაციები გამეჩხერებულია, სამელიორაციო სამუშაოები არ სრულდება, გაყვანილი არა აქვთ წყალშემკრები არხები.

მეურნეობაში, როგორც ზემოთაც ვთქვით, მუშახელის ნაკლებობა მწვავედ იგრძნობა და ეს იმიტომ, რომ მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია. სასმელი წყლის მოტანა 8 კილომეტრით დაშორებულ სოფლიდან უხდებათ. წყლის ცისტერნები საკმარისი არა აქვთ. გზაში წყალი ობება. სამი წლის წინათ დაგეგმეს წყალსადენის გაყვანა მდინარე ჭანჭურყლიდან, საკირო მილები ვერ იშოვნეს, ხოლო ხარჯებისთვის თანხების გამოყოფა ჩაისა და ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის ტრესტმა გააჭიანურა.

მშრომელთა კულტურული მომსახურება მეურნეობაში დაბალ დონეზეა. კინოსეანსები უხარისხოდ ეწყობა დინგარეულ პირას მისულ კლუბში. მეურნეობას საავადმყოფო არა აქვს. ავადმყოფობის შემთხვევაში მუშის გადაყვანა უხდებათ 15-20 კილომეტრზე, ისიც ცუდი სასოფლო გზით.

მექანიზაციის საკითხი მეურნეობაში მოუგვარებელია. პლანტაციების დასაბუნებელად 4 მოლალოვიან ტრაქტორს მოთხოვნა დიდი ხანია გაეგზავნა ტრესტს, მაგრამ ამ მოთხოვნას დღემდე არავინ გამოხმაურებია.

უდავოდ დამფიქრებელია, რაც ხიბულის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ხდება ვალდებულება რომ იკისრეს, შესრულება რათ დაავიწყდათ? როგორც ჩანს, ხიბულელებს სიტყვის გატეხა ჩირადაც არ ეღირთ.

ისეთი სერიოზული ჩამორჩენა მეურნეობაში მით უფრო საშეუხარია, რომ იქ არც თუ ისე იშვიათად იმყოფებიან საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სახმინისტროსა და ჩაისა და ციტრუსების საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მუშაკები.

საკვირველია, როგორ ურიგდებიან ხიბულის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ასეთ ჩამორჩენას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩაისა და ციტრუსების ტრესტის მუშაკებთან ერთად ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოებიც?

გ. ნოდია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

კავკასიონის ოქრო. ღოპოტოს მარმარილო

ცივგომბორიდან ხელისგულივით მოჩანს კახეთის სიმაყე — ალაზნის ველი. ზღაპრული ხალიჩასავით ბრწყინავს ბაღ-ვენახებით მოქარგული მიწა, რომელსაც კიდევ მეტ შნოსა და სილამაზეს აძლევს მზეზე მოელვარე ალაზანი.

სამარილანად ამაყობენ და ხარობენ კახელი კოლმეურნეები ალაზნის ველის სილამაზითა და სიუხვით.

უკანასკნელ ხანებში კახეთს ღვინოებთან ერთად შორს გაუთქვა სახელი კავკასიონის მთების გულში მოქცეულმა მარმარილომ. დიდი ხანია ჩვენნ ქვეყნის ფარგლებს გასცდა ლოპოტოს მარმარილოს დიდება. ლუარსად მოლაპლაპე ამ ძვირფასი ქვით მოპირკეთებული და დამშვენებულია ჩვენი სამშობლოს დიდი არქიტექტურული ნაგებობანი — მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოსკოვის მეტრო და მრავალი სხვა. ევროპის ბევრ ქვეყანაში ნახავთ საქართველოს მარმარილოთი მოპირკეთებულ და დამშვენებულ ნაგებობებს.

დროა ჩვენმა მკითხველმაც გაიცნოს თელავის ფიქალ-მარმარილოს კომბინატი, მისი მოწინავე ადამიანები.

თელავის რკინიგზის სადგურთან მგზავრთა ყურადღებას იპყრობს მექანიზმების განუწყვეტელი ხმაური. ეს გახლავთ მარმარილოს ნამსხვრევი ქარხანა და ფიქალის ფხვნილის დამამზადებელი საამქრო. იქვე გვერდით ყრია მარმარილოს დიდი ლოდები. მექანიკური ამწეები ტვირთავენ ვაგონებს თბილისში გამოსაგზავნად.

კომბინატის დირექტორის კაბინეტთან რამდენიმე მხარბეჭიანი ჩაეინეულიყლებულა ვაუკაცი იცდიდა. რაღაცაზე ბრაზობდნენ, ბულდოზერებისა და სკრეპერების მუშაობაზე საუბედურს გამოთქვამდნენ. დირექტორის კაბინეტში კიდევ უფრო აიმაღლეს ხმა. ყველა ერთად აცხადებდა, მანქანები მოძველებულია, მუშაობა აღარ შეიძლება, უფროსებს გააგებინეთ, რომ ასეთ პირობებში მთაში მუშაობა წარმოუდგენელიაო. დირექტორმა ს. ვარდოშვილმა დაამშვიდა ისინი, პირობა მისცა, რომ მათთან ერთად წავიდოდა მთაში კარიერებზე, ადგილზე ნახავდა მანქანებს და მოკლე დროში გამოასწორებდა მდგომარეობას.

— ვნახოთ, — თქვეს ვაუკაცებმა და გასვლა დააპირეს.

— შალვა! — მიაძახა დირექტორმა, — მძღოლი გაიფრთხილეთო, უჩემოდ არ წავიდეთ, მეც თქვენთან ერთად ჭამოვალ.

მერე ჩვენ მოგვიბრუნდა და გვითხრა:

— კომბინატის მუშაობის შესახებ თქვენ ალბათ ცნობები გინდათ. თუ სურვილი გაქვთ, ცნობების აღებამდე მარმარილოს კარიერები დავათვალიეროთ.

— მაგის რა სჯობს, ეაცმა საკუთარი თვალით ნახოს ის ადგილი, სადაც იღებენ ბაუცხო მარმარილოს, რომელსაც საქართველოს სახელი მსოფლიოში გაიტანა.

— ცხადია, ეს კარგია, მაგრამ იქ ასვლა ფეხით შეუძლებელია, მანქანით კი მეტად საშიში. პირველად რომ ვიმგზავრე, შევშინდი, გადაწყვიტე სამუშაოსათვის თავი დამებებინა. მაგრამ ყველაფერს მიჩვევა სცოდნია. კაცმა თუ მოინდომა, ყოველგვარ სიძნელეს დაძლევს, ყველაფერს შეეჩვევა. ათეულ წელზე მეტია ამ სახიფათო გზით დავდივარ. ისე გამოიწვრთნენ ჩვენი მძღოლები, რომ არც ერთი უბედური შემთხვევა არა გვქონია. მარმარილოს გამოზიდვის გეგმებსაც გადაჭარბებით ვასრულებთ.

თუ წამოსვლა გადაწყვეტილი გაქვთ, ნუდა დავიგვიანებთ, წავიდეთ ბარეგ. მთიდან ბარში დღის სინათლეზე უნდა ჩამოვიდეთ, სხვანაირად არ შეიძლება. ელექტროშუქზე მთის იმ ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული გზით სიარული სახიფათოა. ჩვენი მძღოლები მტკიცედ იცავენ ამ წესს, მთიდან დღისით ჩამოდიან, მერე კი საშიში არაფერია. სწორედ ამიტომ არის, რომ ცუდი შემთხვევა არა გვქონია. ნურც შეგვამთხვიოს!..

ბანქანა შურდულივით მიჰქრის სწორ გზაზე, ირგვლივ თვალწარმტაცი პეიზაჟებია, თვალს ვერ მოაშორებ კოპწიად მოვლილ ვენახებსა და ბაღებს, ცხენიანი კაცის სიმაღლე სიმინდებს, მიდამოს განსაკუთრებულ იერსახეს და სილამაზეს აძლევს გზის ორივე მხარეს ცად ატყორცნილი ფოთლოვანი ხეები.

ალაზნის ხიდზე გავედით. მწვანეში ჩაფლული სოფლები უკან მოვიტოვეთ. დაიწყო მდინარე ლოპოტის ხეობა. მდინარის მარცხნივ მანქანამ სისწრაფეს უკლო, ღმუილს უმატა, ნელა მიიწევდა წინ მიხვეულ-მოხვეული გზით. მიდიხარ და ასე გგონია მანქანა ერთ ადგილზე ტრიალებსო, არ მოჩანს ტყით დაბურული მთის დასასრული, სამგაეიროდ ხეგის უფსკრული მაღლდება, თვალს უჭირს ფსკერის დანახვა.

საუბრით ვერთობით, ვტკბებით კავკასიონის მთის მშვენიერებით. მძღოლი კი მაგრა ჩაფრენია საჭეს, გაუნძრევლად ზის და გზას მიშტერებია, გამჭრიახი თვალით ზუსტად ზომავს ყოველ მოძრაობას. სხვანაირად არც შეიძლება. მანქანის თვლები უფსკრულის პირს მიუვლება, სულ პატარა შეცდომაც კი საკმარისია, რომ ხეგში გადაჩეხო.

გაგვახსენდა კანტორაში ს. ვარდოშვილის ნათქვამი, მგზავრობა ძნელიაო. მართლაც ასე იყო. მაგრამ ყველაფერი დაგვიფიქრა კაკაესიონის მთების ზღაბრულმა სილამაზემ, იშვიათმა ჩანჩქერებმა, მივიწევთ ზევით და ზევით, მშვენიერებას ბოლო არ უჩანს...

მანქანა შეჩერდა, მძღოლი გადმოვიდა, გზიდან მარმარილოს ლოდი გადაგორა და ხმამაღალი დაიყვირა: — მეი, ბიჭებო! ფრთხილად, მანქანა მოდის!

აი მივედით, — გვითხრა დირექტორმა, — ერთი მოსახეევიც დარჩა.

მთების მყუდროებას არღვევდა ბულდოზერებისა და სკრეპერების ხმაური, მარმარილოს ლოდებთან მებრძოლი ვაუკაცების ხმამაღალი შეძახილები.

კარიერთან მივედით. მუშებმა მუშაობა შეაჩერეს. მარმარილოს ლოდზე ჩამოსხდნენ და ბარის ამბავი გვკითხეს. შემდეგ კი შინაური ამბებზე გადავიდნენ, ბულდოზერებისა და სკრეპერების შესახებ საუბედურებს გამოთქვამდნენ.

ფეხზე წამოდგა შავგვრემანი, ბრგე ვაუკაცი, ყველანი გაიჩერა, დინჯად და დალაგებით დაიწყო:

— გაზეთებიდან გგებვიგია, ეს ჩვენი მარმარილო საზღვარგარეთაც გაიკვლო. თუ ასეა, მაშ საჭირო ყოფილა. სანტერესოა, რატომ მეტ ყურადღებას არ გვაქცევენ, ამ ძველი მანქანების შეკეთებაში საწყალ ბიჭებს ხელები დაგლეჯილი აქვთ. თუ არ გინდათ, გეთხარით, თქვე დალოცვილებო, სულ თავს დავანებებთ. არც სურსათით მომარაგებაა სახარბიელო. რატომ არ ფიქრობთ, რომ ამ ულრან ტყეში თუ არაფერს მოგვაწვდით, მუშაობას ვერ შევძლებთ?

დირექტორმა გულისყურით მოუსმინა, ყველა იმეორებდა ნაირაშვილის სიტყვებს. ვარდოშვილმა მუშებს ყველაფერი გასაგებად აუხსნა. შეჰპირდათ, ნაკლოვანებები მალე გამოსწორდებიო. ისიც დაუმატა, რომ 1962 წელს საბაგირო გზის მშენებლობა დაიწყება, კარიერები გაფართოვდება, მოგვცემენ ახალ მანქანებს და შეუფერხებლად გაჩაღდება მარმარილოს ამოღება თბილისი.

— როგორ! — გავიკვირვეთ ჩვენ, — ნუთუ აქ საბაგირო გზის გაყვანას აპირებენ! განა მარმარილოს მარაგი ასე დიდია?

ამ მთებს ხომ უყურებთ, სადაც უნდა დაარტყა წერაქვი, ყველგან ძვირფასი მარმარილოა. მაგრამ ჭერჭერობით, როგორც ხედავთ, კარიერების გაფართოების საშუალება არა გვაქვს, რაც შეეხება საბაგირო გზის გაყვანას, იგი პროექტშია...

ყველა სამუშაოს გავეცანით. სამწუხაროდ, მარმარილოს გამოღება აქ ჯერჯერობით ნახევრადკუსტარული წესით წარმოებს. მიუხედავად ამისა, ამ კარიერებზე ყოველწლიურად მზადდება 600 კუბური მეტრი მარმარილო და 42 ათასი ტონა ფხვნილი მოზაიკური სამშენებლოსათვის. აქვე მზადდება მარმარილოს ფქვილი ქიმიური და ნავთობის მრეწველობისათვის. მარმარილოს წარმოების გარდა, მზადდება 18 ათასი ტონა ფიქალის ფხვნილი, რომელსაც გამამაგრებელ მასალად იყენებენ ტოლის წარმოებაში. ეს ფხვნილი ტოლის გამძლეობას 18 წლით ახანგრძლივებს. ფხვნილს ძირითადი მომხმარებელია კრასნოდარის ტოლის ქარხანა. საქართველოში კი ფიქალის ფხვნილის ათვისება ლილოს ტოლის ქარხანამ დაიწყო. საერთოდ, კომბინატმა ყველა სახის პროდუქციის ნახევარი წლის გეგმა 117,8 პროცენტით შეასრულა.

— ამ საერთო წარმატებაში თავი ისახელა დომენტი ნაკუდაძემ, იგი კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო სახელის მოპოვებისათვის იბრძვის. ყოველდღიურად ორ ნორმას ასრულებენ ქვის-მთლელები მ. ნარიაშვილი, ტ. შახბანი და მრავალი სხვა. ყველას ჩაწერა მგონი გაგიგიერდათო, ერთიმეორეზე უკეთესი ბიჭები არიან, არც გეგმის შესრულებაში ჩამორჩებიან ერთმანეთს.

უკეთესი მაჩვენებელი გვექნებოდა, — განაგრძო დირექტორმა, — მარმარილოს ბლოკებისა და ნატეხების გაზიდვა რომ არ გვიქნდეს. თელავის ავტოსატრანსპორტო კანტორა ამ უკანასკნელ პერიოდში ვერ უზრუნველყოფს მარმარილოსა და მისი ნატეხების გაზიდვას. ამიტომ ზშირად გვიცდება მარმარილოს სამსხვრევი აგრეგატები. ნამსხვრევ მარმარილოზე მოთხოვნილება კი დიდია, როგორც საუკეთესო მოსაპირკეთებელ მასალაზე.

* * *

მზე ჩადის. მანქანები დაიტვირთა და ჩვენც ბარისაკენ დავეშვით. დაუვიწყარ მოგონებად დარჩა კაკალახიონის მთების საოცარი სილამაზე, მთის ვაუკაცების დუგგმირული ბრძოლა მარმარილოს ლოდებთან.

ახალ შვიდწლედში ერთიათად გაიზრდება მარმარილოს ამოღება და ფხვნილის დამზადება. კიდევ უფრო შორს გასცდება ჩვენი დიადი ქვეყნის საზღვრებს საქართველოს მარმარილოს დიდება.

ზ. ჯამასპიშვილი.

ვალდებულება განაღდებულია

ვანი. რაიონის კოლმეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის მიმდინარე წლის გეგმა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიმართვის პასუხად მათ ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით მოეკრიფათ 10 ტონა „მწვანე ოქრო“, ეს ვალდებულებაც განაღდებულია. მოიკრიფა 10,600 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. (საქმესი).



შეჯიბრებაში გამარჯვებული

სოხუმი. (საკ. კორ.). საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ შეაჯამეს სამრეწველო საწარმოთა მიერ 1960 წლის მეორე კვარტალის სოციალისტური შეჯიბრებიმი ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შედეგები. შეჯიბრებაში გამარჯვება მოიპოვეს აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებსაც მიიკუთვნათ პარტიის საოლქო კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

საწარმოთა კოლექტივებმა პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა 105,8 პროცენტით შეასრულეს და გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 4.282 ათასი მანეთის პროდუქცია. გეგმასთან შედარებით 2,3 პროცენტით გაზიდდა შრომის ნაყოფიერება, მნიშვნელოვნად შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება. ყოველივე ამის შედეგად საწარმოთა კოლექტივებმა შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანეს 657 ათასი მანეთი ნაცვლად წლიური ვალდებულებით ნაკისრი 450 ათასი მანეთისა.

შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ სოხუმის ლუდის ქარხანა, საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამრეწველო კომბინატი, გუდაუთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მეურნეობის კომბინატი და სხვ.

მომავალი ინჟინერი

ახალ-ახალი შენობებით მშვენდება ჩვენი დედაქალაქი. მტკიცე საძირკვლებს უყრიან ყოველ ახალ ნაგებობას შვიდწლედის ადამიანები, ჩვენი მოწინავე ინჟინრები, ტექნიკოსები, მშენებელი მუშები. ჩქარა ამოჰყავს კალატოზს მარჯვენას აგურის, ქვიტკირის და რკინაბეტონის კეტლები.

მაგრამ ვიდრე სახლი აშენდებოდეს, გულდაგული სწავლობენ ნიადაგის სიმყარეს, რლიეფის გეოდეზიურ მონაცემებს. წინასწარ კვლევის შესაბამისად ანგარიშობენ მშენებლობისათვის საჭირო მასალებს, თუ სად რა უნდა გამოიყენონ.

ამ სურათზე ორ ახალგაზრდას ვხედავთ. „მთავართბილისმშენის“ სამშენებლო კანტორის ერთ-ერთი მშენებლობის ოსტატი ნოდარ ჩარკვიანი ნიჟელირით მუშაობს წესებს ასწავლის საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტს ქეთევან ბოკუჩავას.

მომავალი ინჟინერი უთრადღებით ისმენს უფროსის ახსნა-განმარტებას, თუ როგორ უნდა მოიმარჯვოს ეს ნაკადი ხელსაწყო ამა თუ იმ მშენებლობაზე. სწავლა უქმად არ ჩაივლის. ცოდნით აიარაღებს სტუდენტს ნაყოფიერი პრაქტიკული მეცადინეობა.

სურათზე: ინჟინერი ნ. ჩარკვიანი და სტუდენტი ქეთევან ბოკუჩავა.

ფოტო ბ. დადვაძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომკავშირის დამაარსებლის ხსოვნისადმი

სამოცი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც დაიბადა საქართველოს ლენინური კომკავშირის ერთ-ერთი დამაარსებელი ბორის ძნელაძე. რესპუბლიკის კომკავშირელები და ახალგაზრდობა პატივისცემითა და სიყვარულით აღნიშნავენ ამ თარიღს. პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციებში გაიმართა ლექციები და საუბრები, რომლებიც მიეძღვნა ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის ცხოვრებასა და მგზნებარე რევოლუციურ მოღვაწეობას, რომელმაც მთელი თავისი ხანმოკლე სიცოცხლე პარტიის საქმის სამსახურს შესწირა.

კარლ მარქსის სახელობის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში მოეწყო ბორის ძნელაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენა. სტენდებზეა წიგნები, ბროშურები, სურათები, არქივის მასალები. ისინი აშუქებენ ახალგაზრდა რევოლუციონერის სიმამაცითა და გმირობით აღსავსე შესანიშნავ ცხოვრებას. გამოფენა მოგვითხრობს აგრეთვე, თუ რა სახელოვანი ორმოცი წლის გზა განვლო საქართველოს კომკავშირმა, რა გმირობა ჩაიდინეს კომკავშირის აღზრდილებმა პირველი ხუთწლედების, დიდი სამამულო ომის წლებში, კომუნისტურ მშენებლობაში.

...ჭაბუკის ფიგურა დგას მაღალ გრანიტის კვარცხლბეკზე. იგი უყურებს ამომავალ მზეს. ხელში აქვს ლენინის წიგნი. ყველა თბილისელი იცნობს ამ ძეგლს, რომელიც ბორის ძნელაძეს აღუმართეს კომუნარების ბაღში. გუშინ აქ განსაკუთრებით ბევრი ახალგაზრდა მოვიდა, რომლებმაც თან მოიტანეს ცოცხალი ყვავილების თაიგულები. აქ მოვიდნენ პიონერები და მოსწავლეები, სამრეწველო საწარმოთა ახალგაზრდა მუშები, სტუდენტები, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის, კომკავშირის თბილისის საქალაქო და რაიონული კომიტეტების, პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების მუშაკები. ცოცხალი ყვავილებითა და გვირგვინებით შეამკეს აგრეთვე ბორის ძნელაძის ძეგლი მის სამშობლოში — ჩოხატაურში. (საქმესი).

მექსიკელი სტუმარი

საქართველოში თორმეტ დღეს ამყოფებოდა თვალსაჩინო მექსიკელი მეცნიერი, სოფლის მეურნეობის სპეციალისტი სალვადორ სანჩეს-კოლინი. რესპუბლიკა

სასამართლო პროცესი

ამერიკელი ჯაშუში მფრინავის ფრენსის ჰ. პაუერსის სისხლის სამართლის საქმეზე

18 აგვისტოს მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, გრძელდებოდა სასამართლო პროცესი ამერიკელი ჯაშუში მფრინავის ფრენსის ჰ. პაუერსის სისხლის სამართლის საქმეზე. ამერიკული იმპერიალიზმის დაქირავებული აგენტის პაუერსის პროცესმა მთელი საბჭოთა ხალხის, მთელი მსოფლიო საზოგადოებრიობის უურადღება მიიპყრო.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის დილის სხდომის დასაწყისში ბრალდებულმა უპასუხა დამცველის — ადვოკატ მ. ი. გრინოვის კითხვებზე. ამ პასუხში პაუერსმა განაცხადა, რომ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან კონტრაქტის ხელმოწერიდან 6-7 თვის შემდეგ მას აცნობეს, რომ სსრ კავშირის ტერიტორიაზე ფრენა მისი მოვალეობის ნაწილი გახდება.

შემდეგ ბრალდებულს რამდენიმე დაგაზუსტებელ კითხვას აძლევს სახელმწიფო ბრალმდებელი — სსრ კავშირის გენერალური პროკურორი რ. ა. რუდენკო. იგი ეკითხება, ვინ შეხვდა პაუერსს პაშავარის აეროდრომზე და რა ვითარებაში მოახდინა მან თვითმფრინავის დაშვება, ვინ მისცა ამის ნებართვა. ბრალდებული უპასუხებს, რომ ნებართვა მისცეს პაკისტანის ხელისუფლებმა, რომლებმაც ეცოდნენ მისი თვითმფრინავის მოსვლა.

უპასუხა რა პროკურორის კითხვებზე, პაუერსმა აჩვენა, რომ სანამ შემოიგრეგოდა სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში, მან გადაუფრინა პაკისტანის, ავღანეთის ტერიტორიას და შემდეგ ჰქონდა მითითება, თუ საჭიროება მოითხოვდა, გადაფრენილიყო ფინეთის, შვეიცის, ნორვეგიის ტერიტორიაზე.

ბრალდებულ პაუერსის პასუხები ერთხელ კიდევ მთელი სიცხადით გვიჩვენებენ, თუ რა მოურიდებლად ეპყრობა ამერიკის მხედრობა დიდი და პატარა ქვეყნების სუვერენიტეტს, როგორც იმ ქვეყნებისა, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით არსებულ აგრესიულ სამხედრო ბლოკებში შედიან, ისე იმ ქვეყნების, რომლებიც ამ ბლოკებში არ შედიან.

უპასუხებს რა შემდეგ პროკურორის კითხვებზე, ბრალდებული ადასტურებს, რომ მისი თვითმფრინავი ჩამოგდებულ იქნა 68 ათას ფუტ სიმაღლეზე.

რუდენკო: სწორედ ამ სიმაღლეზე — 68 ათას ფუტზე — თქვენ მიფრინავდით სვერდლოვსკის რაიონში?

ბრალდებული პაუერსი: დიახ.

რუდენკო: სწორედ ამ სიმაღლეზე — 68 ათას ფუტზე — თქვენ ჩამოგაგდოთ საბჭოთა რაკეტამ?

ბრალდებული პაუერსი: დიახ, რაღაცამ ამ სიმაღლეზე ჩამომაგდო.

რუდენკო: თქვენ თქვით, რომ რაღაცამ ჩამოგაგდოთ?

ბრალდებული პაუერსი: დიახ, მე ზუსტად არ დამინახავს, რამ ჩამომაგდო.

რუდენკო: მაგრამ სწორედ ამ სიმაღლეზე ჩამოგაგდეს თქვენ?

ბრალდებული პაუერსი: დიახ.

რ. ა. რუდენკოს თხოვნით სასამართლოში გამოაქვეყნეს საბჭოთა არმიის იმ სპარსოო ქვეგანაყოფის მეთაურის მაიორ ვორონოვის პატაკი, რომელმაც 1960 წლის 1 მაისს ჩამოაგდო ამერიკის თვითმფრინავი „ლოკჰიდ უ-2“, რომელსაც მართავდა პაუერსი.

სახელმწიფო ბრალმდებელი ეკითხება ბრალდებულს, რისთვის ჰქონდა საბჭოთა ფული. პაუერსი უპასუხებს, რომ ეს ფული უნდა გამოეყენებინა მას გასულიყო საბჭოთა ქვეყნიდან ყოველგვარი საშუალებით, მოსყიდვის მეთოდის გამოყენებითაც კი, მაგრამ ჯაშუში მფრინავი, უპასუხა რა ბრალმდებელ რ. ა. რუდენკოს შემდგომ კითხვებზე, იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ ასეთი მეთოდი საბჭოთა ქვეყანაში უშედეგოა. განმარტავს რა თავისი პირველი მაისის ფრენის ძირითად ამოცანას, ბრალდებული ამბობს, რომ მას უნდა ეფრინა მითითებული მარშრუტით და ჩაერთო და გამოერთო გარკვეული ხელსაწყოები გზის გარკვეულ უბნებში. შეიძლება ვიფიქროთ, აცხადებს იგი, რომ ეს ხდებოდა დაზვერვითი ინფორმაციის შეგროვების მიზნით. თავმჯდომარის ვ. ვ. ბორისოგლებსკის კითხვაზე პაუერსმა უპასუხა, რომ პოლკოვნიკ შელტონს განსაკუთრებით აინტერესებდა რაკეტების გასაშვები მოედნები.

ჩემი აზრით, დასძინა ბრალდებულმა, საბჭოთა რაკეტები ძალიან აინტერესებთ არა მარტო ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხელისუფლებს, არამედ აგრეთვე მთელ მსოფლიოს.

ბორისოგლებსკი: ბრალდებულო პაუერს, თქვენ ინანებთ იმას, რაც ჩაიდინეთ?

პაუერსი: დიახ, ძალიან.

სახალხო მსაჯულნი — ავიაციის გენერალ-მაიორი ა. ი. ზახაროვი და არტილერიის გენერალ-მაიორი დ. ზ. ვორობიოვი ბრალდებულს აძლევენ მთელ რიგ კითხვებს ბრალდების არსის მიხედვით.

შემდეგ სასამართლო იწყებს მოწმეების დაკითხვას.

ჩვენებებს აძლევენ უბრალო საბჭოთა ადამიანები, რომლებმაც დააკავეს ჯაშუში, შეასრულეს თავიანთი მოვალეობა სამშობლოს წინაშე, პეტრე ასაბინი, ლეონიდე ჩუჟაკინი, ანატოლი ჩერემისინი, ვლადიმერ სურინი. მათ პირველმა დაინახეს პაერში აფეთქების ალი და გაშლილი პარაშუტის ღრუბელი. ეს იყო 1960 წლის 1 მაისს სვერდლოვსკის რაიონში. ყველა მოწმემ იცნო ადამიანი, რომელიც საბრალდებლო სკამზე ზის, ის უცხოელი მფრინავი, რომელიც მათ დააკავეს.

სასამართლო იწყებს ექსპერტების მოსმენას.

ექსპერტი პოლკოვნიკი ნ. ა. ალექსეევი ამბობს, რომ წარმოდგენილი მასალებისა და იმ აღნიშვნების გულდასმით შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, რომლებიც მფრინავს გაუკეთებია ფრენის დოკუმენტებზე, საექსპერტო კომისია მივიდა შემდეგ დასკვნამდე: მფრინავი ფრენსის ჰარი პაუერსი ეკუთვნის ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალებს; ამერიკის თვითმფრინავის ფრენა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე 1960 წლის 1 მაისს იყო წინასწარ განზრახული და წინასწარ დაგეგმილი; რუკები ფრენის მარშრუტით და გაანგარიშებული სანავიგაციო მონაცემებით მომზადებულ იქნა პენშავარის აეროდრომიდან თვითმფრინავის გაფრენამდე; ფრენის დროს მფრინავმა პაუერსმა იცოდა სად იმყოფებოდა, სისტემატურად უწევდა კონტროლს დასახული ორიენტირების გავლას და ფაქტიურად ასრულებდა ფრენას წინასწარ დასახული მარშრუტით, სსრ კავშირის ტერიტორიაზე ფრენის პროცესში მფრინავ პაუერსს შეჰქონდა რუკაზე დაზვერვითი ხასიათის ცნობები.

შემდეგ ექსპერტიზის დასკვნები ჩამოაყალიბა ინჟინერ-პოლპოლკოვნიკმა ი. ვ. ტიუფილინმა.

იგი აცხადებს, რომ საექსპერტო კომისიამ 1960 წლის პირველ მაისს ჩამოგდებული „ლოკჰიდ უ-2“ თვითმფრინავის ნაშთების გულდასმით გამოკვლევის საფუძველზე გამოარკვია, რომ ამ თვითმფრინავს სახელმწიფოებრივი კუთვნილების არავითარი გამოსაცნობი ნიშანი არ ჰქონია.

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გ. ა. ისტომინმა წარმოადგინა საექსპერტო კომისიის დასკვნა „ლოკჰიდ“ უ-2“ თვითმფრინავის ფოტომოწყობილობის შესახებ.

„უ-2“ თვითმფრინავზე ყოფილი ფოტომოწყობილობის ნაშთების შესწავლამ, ამბობს ექსპერტი, საშუალება მოგვცა გამოგვერკვია, რომ აეროფოტოდაზვერვის წარმოებისათვის თვითმფრინავზე იყო 73-ვ მოდელის სპეციალური პირფართო გრძელფოკუსიანი აეროფოტოაპარატი.

თავმჯდომარე სთხოვს ექსპერტს ინჟინერ-პოლკოვნიკ რ. ა. ანდრეევს წარმოადგინოს ექსპერტთა კომისიის დასკვნა რადიოტექნიკური აპარატურის შესახებ, რომელიც იპოვეს „ლოკჰიდ უ-2“ ტიპის თვითმფრინავის ჩამოვარდნის ადგილზე სვერდლოვსკის რაიონში.

მთლიანად რადიოტექნიკური აპარატურა, რომელსაც ექსპერტიზა გაუკეთდა, წარმოადგენს თვითმფრინავთა რადიოდაზვერვის სადგურების სისტემას, რომლებიც განკუთვნილია ცნობების შესაგროვებლად საბჭოთა კავშირის, მისი ცალკეული ქალაქების, მსხვილი სამრეწველო და ადმინისტრაციული ცენტრების საჰაერო თავდაცვის რადიოტექნიკური უზრუნველყოფის სისტემის აგებულების შესახებ, აგრეთვე ცნობებისა ცალკეული რადიოტექნიკური სადგურების შესახებ, რომლებიც ამ სისტემაში შედიან.

ეს ცნობები საბჭოთა კავშირის საჰაერო თავდაცვის რადიოტექნიკური უზრუნველყოფის სისტემის შესახებ ფიქსირებული იყო მაგნეტოფონების ფერომაგნიტურ ლენტზე, რომელზეც აღმოჩნდა ჩაწერილი საბჭოთა კავშირის მიწისზედა რადიოლოკაციური სადგურების სიგნალები.

ამით დამთავრდა დილის სხდომა. (საკდესი).

მოსკოვი. კავშირების სახლის სვეტებიანი დარბაზი. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის დილა სასამართლოზე სხდომა ამერიკელი მფრინავის ფრენსის ჰარი პაუერსის სისხლის სამართლის საქმის გამო.

სურათებზე: ზემოთ — ბრალდებულს უდგენენ ფრენის რუკის გადარჩენილ ნაშთებს; ქვემოთ — სასამართლოს დარბაზში.

საკდესის ფოტო

რაც ჩიხიდან გამოიყვანს

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის სხდომაზე

მეტად ვრცელი სიტყვა პირველმა წარმოთქვა შეერთებული შტატების წარმომადგენელმა კაბოტ ლოჯმა, რომელიც ცდილობდა ბრალი ათი სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის ჟენევის მოლაპარაკების უნაყოფობის გამო საბჭოთა კავშირისათვის დაეკისრებინა. თუმცა ლოჯმა დასაწყისში გააკეთა შენიშვნა, თითქოს შეერთებულმა შტატებმა ითხოვეს კომისია მოეწვიოთ, რათა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის „მიეცათ ინფორმაცია“ ჟენევაში მოლაპარაკების შესახებ, მისი ინფორმაცია წარმოადგენდა განიარაღების დარგში საბჭოთა კავშირის პოლიტიკის უხეშ დამახინჯებას.

შემდეგ სიტყვა აიღო საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვმა. დღეს, თქვა მან, შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ჩამოაყალიბა განიარაღების შესახებ მოლაპარაკების ისტორიის თავისი ვერსია. ეს ისტორია მართლაც საკმაოდ ჭკუის სასწავლია. იგი თვალსაჩინოდ მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები მუდამ ისწრაფვოდნენ თავიანთი სამხედრო ძალების იმისათვის გამოეყენებინათ, რომ სხვა ქვეყნებს ელაპარაკონ „ძალის პოზიციიდან“, თავიანთი კონტროლი დაწესონ მთელ მსოფლიოზე. ამავე დროს ამ პოზიციის მიზანია არ დაუშვას განიარაღების რაიმე კონკრეტული ღონისძიების განხორციელება.

საბჭოთა მთავრობა, განაგრძო ვ. ვ. კუზნეცოვმა, არ იშურებს ძალებს საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის ბრძოლაში, დაუცხრომლად იბრძვის იმისათვის, რომ ეს პრობლემა გახდეს სახელმწიფოთა საქმეთა მოლაპარაკების საგანი, იყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში. საბჭოთა კავშირი მზად არის დღესვე მოაწეროს ხელი შეთანხმებას ატომგალეის იარაღის წარმოებისა და გამოყენების აკრძალვის შესახებ, აგრეთვე ამ იარაღის მთელი მარაგის მოსპობის შესახებ.

საბჭოთა დელეგატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეერთებული შტატები და მათი მოკავშირეები სამხედრო ბლოკებში საფრანგეთდგენ კურსს აბორიგენელებენ. თავის პოლიტიკად მათ აირჩიეს გამალებული შეიარაღება და ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ხელი შეუშალონ კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელებას განიარაღების დარგში. ესმით რა, რომ ახლანდელ პირობებში ეს პოლიტიკა ვერ შეხვდება ეერაფერს, გარდა მტაც�დ ოდგმობისა ხალხთა მხრიდ, ნატოს ქვეყნების და უფრანარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები ცდილობენ მოიტყუონ საზოგადოებრივი აზრი, გამალებული შეიარაღება დაფარონ ფუტი ლაპარაკით იმაზე, რომ ისინი თითქოს გაანიარაღების მომხრეები არიან. უფრო მეტიც, შეგნებულად ფუშავენ რა ყველა მოლაპარაკების განიარაღების შესახებ, ისინი ცდილობენ პასუხისმგებლობა ამ საკითხში პროგრესის უქონლობისათვის დააკისრონ საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს. სწორედ ასეთი ტაქტიკის გამოვლინებას წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისა და მისი მოკავშირეების ახლანდელი გაწამაწია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის მოწვევის გარშემო.

ილაპარაკა რა დაწვრილებით განიარაღების პრობლემის ისტორიაზე და, კერძოდ, 10 სახელმწიფოს კომიტეტის ჟენევის მოლაპარაკებზე, კუზნეცოვმა თქვა: ისეთ პირობებში, როცა განიარაღების პრობლემის განხილვამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სულ სხვადასხვა ორგანოში გამოავლინა მოლაპარაკების მონაწილეთა ღრმა წინააღმდეგობანი, დაბეჭითებით საჭიროა, რომ ამ პრობლემის გადაჭრას მთელი მისი სიგრძე-სიგანით ხელი მოკიდოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმაღლესმა ორგანომ — გენერალურმა ასამბლეამ.

ამასთან საბჭოთა მთავრობას სასარგებლოდ მიაჩნია, რომ განიარაღების პრობლემის — თანამედროვეობის ამ მწვავე პრობლემის განხილვაში მონაწილეობა მიიღონ უალრესად პასუხისმგებელმა სახელმწიფო მოღვაწეებმა, სახელმწიფოთა მეთაურებმა ან მთავრობათა მეთაურებმა. ვითვალისწინებთ რა ამას, განაცხადა სსრ კავშირის წარმომადგენელმა, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ახლანდელ პირობებში ყველაზე უკეთესი, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიას შეუძლია გააკეთოს, ის არის, რომ დაადასტუროს საყოველთაო და სრული განიარაღების იდეა, რომელიც მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეის XIV სესიამ, აგრეთვე აღიარის ამ პრობლემის ყოველმხრივი განხილვის დიდი მნიშვნელობა გენერალური ასამბლეის XV სესიაზე სახელმწიფოთა მეთაურების ან მთავრობათა მეთაურების მონაწილეობით.

კანადისა და იტალიის წარმომადგენლები იცავდნენ შეერთებული შტატების პოზიციას.

სხდომის დასასრულს გამოვიდნენ ინდონეზიისა და კუბის წარმომადგენლები, ს. ვიჯოპრანტორმ (ინდონეზია) განაცხადა, რომ ათი სახელმწიფოს კომიტეტმა ვერ გაამართოლა მთელი მსოფლიოს ხალხთა იმედი, რადგან ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ ჟენევაში მან ვერავითარი წარმატება ვერ მოიპოვა თანაბარუფლებების უმთავრესი პრობლემის — საყოველთაო და სრული განიარაღების“ გადაწყვეტაში. ინდოელების დელეგატმა მოითხოვა განიარაღების საკითხის განხილვა გადატანილ იქნეს გენერალური ასამბლეის მორიგ სესიაზე, რადგან იგი არის უფრო ავტორიტეტიანი ორგანო და მის მუშაობაში შეეძლოთ მონაწილეობა მიიღონ აფრიკისა და აზიის ქვეყნებმა, რომელებმაც ამას წინათ მიიღეს დამოუკიდებლობა და ამჟამად არ არიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის წევრები.

კუბის რესპუბლიკის წარმომადგენელმა მ. ბისბემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეერთებულ შტატებს აკისრიათ პასუხისმგებლობა არა მარტო ჟენევის მოლაპარაკების ჩაშლისათვის, არამედ მთლიანად საერთაშორისო დაძაბულობის გაძლიერებისათვის. მ. ბისბემ განაცხადა, რომ კუბის მთავრობა მოითხოვს სრულ განიარაღებას, და უწინარეს ყოვლისა ატომურ განიარაღებას. მიგრამ, თქვა მან, კუბის დელეგაცია წინააღმდეგია, რომ ეს საკითხი არსებითად განხილულ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიაში და წინადადებას იძლევა, რომ იგი განიხილოს გენერალური ასამბლეის XV სესიამ.

ნიუ-იორკი, 18 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი ვ. ოზეროვი იუწყება: გუშინ კვლავ გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის სხდომა. სხდომამ ერთხელ კიდევ დაადასტურა სამართლიანობა მთელ რიგ სახელმწიფოთა აზრისა, რომ მიზანშეუწონელი იყო ამ კომისიის მოწვევა გენერალური ასამბლეის მე-15 სესიის წინ. სამხედრო ბლოკებში ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეების — ინგლისის, იაპონიისა და ირანის წარმომადგენლებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრიბუნა გამოიყენეს ზოგადი მსჯელობისათვის განიარაღების საკითხებზე. ინგლისის დელეგატი, ვისი მხარეც ხელს უწყობდა ათი სახელმწიფოს კომიტეტში მოლაპარაკების ჩაშლას, ახლა მოუწოდებდა „უსწრაფესად“ განახლდეს მოლაპარაკება.

ვრცელი სიტყვა წარმოთქვა რუმინეთის წარმომადგენელმა ს. ბრუკანმა, რომელმაც ამხილა დასავლეთის სახელმწიფოთა ფარისევლობა. „აქ, ნიუ-იორკში, — თქვა მან, მიმართა რა ამერიკის დელეგატს, — თქვენ ამბობთ, რომ ესწრაფვით განიარაღებას, ხოლო ვაშინგტონში განიხილავთ სამხედრო მიზნებისათვის ასიგნებათა გადიდების საკითხს. საკუთარ ცხადია, განაგრძო ბრუკანმა, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა ჟენევის მოლაპარაკება გამოიყენეს იმისათვის, რომ მოეტყუებინათ ხალხები, შეენიღბათ ახალი ღონისძიებანი, რომლებსაც ამასობაში ახორციელებენ შეერთებული შტატები და მათი პარტნიორები გამალებული შეიარაღების გასაძლიერებლად. აქედან რაც ამ კომისიაში მოვისმინეთ, სავსებით ცხადი გახდა, რომ უთანხმოებანი საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხში იმდენად სერიოზულია, რომ მხოლოდ გულწრფელი კონსტრუქციული და ყოველმხრივი განხილვა უაღრესად მაღალ დონეზე და ჯეროვან ფორუმში, ესე იგი გენერალურ ასამბლეაში, დაგვეხმარება გამოვიყვანთ ჩიხიდან განიარაღების საკითხი.

განიარაღების პრობლემის გადაჭრა, განაცხადა ინდოელის წარმომადგენელმა, არა მარტო სასიცოცხლო საჭიროებაა, არამედ საპატიო მოვალეობაც, ინდოელის დელეგაციას, თქვა მან, მიაჩნია, რომ საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხი საფუძვლიანად უნდა იქნას განხილული გენერალური ასამბლეის მომავალ სესიაზე და რომ დელეგაციები ასამბლეაზე წარმოდგენილ უნდა იქნან უმაღლეს დონეზე.

ინდოელის დელეგატმა შეიტანა ექვსი სახელმწიფოს რეზოლუციის ერთობლივი პროექტი, რომელშიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომიტეტი ურჩევს გენერალური ასამბლეის მე-15 სესიას უადრესად, სეროზულად განიხილოს განიარაღების საკითხი.

ღილის სხდომის ბოლოს მამგიერა ბულგარეთის წარმომადგენელი, რომელიც ამ რეზოლუციის პროექტის ერთერთი თანაავტორია, და მბარი დაუჭირა წინადადებას, რომ ეს დიდმნიშვნელოვანი პრობლემა განიხილოს გენერალური ასამბლეის მომავალმა სესიამ.

პენტაგონი არ ცხრება

ვაშინგტონი, 18 აგვისტო. (საკდესი). გუშინ აქ გაიმართა ამერიკის შეიარაღებული ძალების სარდლების თათბირი, რომელიც პენტაგონმა მოიწვია. როგორც ეუნაიტედ პრესის საგენტო იუწყება, ამ თათბირზე გამოვიდა თავდაცვის მინისტრი ჰეიტსი, რომელმაც ჩამოაყალიბა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შეერთებული შტატების სამხრეთ მზადების გაძლიერების ახალი აგრესიული გეგმები. ამ გეგმების თანახმად, განაცხადა თათბირზე ჰეიტსმა, შეერთებულ შტატებში შტაბების უფროსთა გაერთიანებულ ჯგუფის კონტროლით შეიქმნება ეგრეთწოდებული სტრატეგიული მიზნების დაგეგმვის სამმართველო. ამ სამმართველოს, რომელსაც სათავეში ჩაუდგება შეერთებული შტატების სტრატეგიული ავიაციის სარდალი გენერალი ტომას პაუერი, ეკუთვნის „განსაზღვროს მიზნები“ საბჭოთა კავშირში, რომელებსაც დარტყმებს მიაყენებენ სტრატეგიული ავიაცია და რაკეტული იარაღი ომის შემთხვევაში; ჰეიტსმა ცინიკურად განაცხადა, რომ მის მიერ მიღებული პროგრამაციული ხელმოწერა „ყველაზე მნიშვნელოვანია პენტაგონში მისი ყოფნის მანძილზე“.

როგორც იუნაიტედ პრესს საგენტო იუწყება, ამერიკის შეიარაღებული ძალების სარდლების თათბირმა ერთხმად მიიწონა ჰეიტსის მიერ წარმოდგენილი გეგმა სტრატეგიული მიზნების დაგეგმვის სამმართველოს შექმნის შესახებ. როგორც საგენტო იუწყება, სამმართველოს ამოცანაა „შეადგინოს საბჭოთა კავშირში მიზნების სრული სია და კონკრეტულ სახეობათა იარაღი, რომლებსაც გამოიყენებენ ამ მიზნების წინააღმდეგ“. ეს ს

აი ისინი, ჩვენი კულტურის მეგობრები



ჰანს ფოქტი: აღტაცებული ვარ იმ მიღწევებით, რომლებიც ამ ორმოცი წლის მანძილზე მოიპოვა საქართველომ.

*

ი. იედლიჩკა: საქართველო პირველად უკვდავმა შოთამ გამაცნო.

*

გერტრუდ პეტჩი: მეცნიერებმა უნდა ააგონ ხიდი მეგობროგისა.

*

დავით ლანგი: საბჭოთა ხალხის კეთილ მეგობრად დავრჩები მუდამ.

ხიდი ჩვენი მეგობრობისა

გერტრუდ პეტჩი

ბერლინის დემოკრატიული რესპუბლიკა

დაიბადა 1911 წელს. ამჟამად ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორია. მუშაობს ზოგად ენათმეცნიერებასა და კავკასიოლოგიაში.

ქართულ ენას ენათმეცნიერებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ის გვაღელვებს, რომელიც ქართველმა მოახდინა დანარჩენ ენებზე, მაჩვენებელია იმ კულტურული ურთიერთობისა, ხმელთაშუაზღვისა და წინა აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის რომ არსებობდა.

სწორედ ამის გამო, რომ დღეს მრავალი გერმანელი მეცნიერი სწავლობს და იკვლევს ქართულ ენას, ისტორიასა და კულტურას. მაგრამ საამისო ტრადიცია კვლევა-ძიებისა ჩვენში დღემდე არ ყოფილა. პირველად ამ მიმართულებით მუშაობა დაიწყო ოცდაათიან წლებში, მაგრამ ამ მუშაობას ხელი შეუშალა ფაშისტურმა რეტიმმა.

მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გახდა შესაძლებელი, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მტკიცე საფუძველი ჩაეყროდა კავკასიოლოგიას. საღეისოდ ამ მიმართულების მეტად მნიშვნელოვანი ამოცანებია ჩვენს წინაშე: გერმანელმა კავკასიოლოგებმა უნდა ავაგოთ მტკიცე ხიდი მეგობრობისა გერმანელ ხალხსა და ქართველ ხალხს შორის. დღეს საქართველოში ასჯერ და ათასჯერ მეტი იციან გერმანიაზე, ვიდრე ჩვენში საქართველოზე. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ადამიანებმა უნდა შეისწავლონ და დააფასონ კულტურა და მეცნიერება ქართველი ხალხისა, რომელიც საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში დიდი აღმავლობის გზით მიდის.

მოსკოვი, 16 აგვისტო.

ᲛᲔ ᲐᲮ ᲓᲐᲕᲪᲣᲕᲘ ᲒᲣᲚᲘ

იან ბრაუნი

პოლონეთი

დაიბადა 1926 წელს ქალაქ ლოძში. აქვე დაამთავრა უნივერსიტეტი კლასიკური ფილოლოგიის განხრით, სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში. ამჟამად ვარშავის უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერების კათედრაზე მუშაობს.

მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელმა ფაშისტებმა ჩვენი ოჯახი ლოძიდან კრაკოვში გადაასახლეს. ბავშვობა კრაკოვის მახლობლად ერთ პატარა სოფელში გავატარე. იმ ხანად გამიტაცა სწორედ ფილოლოგიამ, მეტადრე კლასიკურმა. ანტიკური ხანის ფილოსოფოსთა და პოეტთა წიგნების კითხვა იყო ჩემთვის სიცოცხლის ერთადერთი წყარო იმ დუხჭირ ვითარებაში. მალე წიგნებს თავი დავანებე და იარაღი ავიღე ხელში, შევედი პოლონელ პარტიზანთა რაზმში. თუმცა ერთი ქართული წიგნი ყოველთვის თან დამქონდა — ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსთა პაწაწა კრებული.

საბჭოთა საქართველოში პირველად ამ ცხრა წლის წინათ ჩამოვედი, რომ ადგილობრივ შემესწავლა „მერანისა“ და „ფიქრნი მტკვრის პირას“ ავტორის ულამაზესი ენა. ჩემს ცხოვრებაში პეშმარიტად ახალი ფურცელი გადაიშალა. სამ წელიწადზე მეტ ხანს ვიყავი საქართველოს უძირო, უმშვენიერეს ცას შეფარებული, სტუმართმოყვარე და შესანიშნავი ქართველი ხალხის სტუმარი... ვსწავლობდი ძველსა და ახალ ქართულს, აგრეთვე ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითს გრამატიკას, მეცნიერულ ხელმძღვანელობას მიწევდა აკადემიკოსი აკაკი შანიძე. 1955 წელს ქართული ზმნის მრავალსახეობაზე დავიცავი დისერტაცია და დავბრუნდი სამშობლოში, ვარშავის უნივერსიტეტში როგორც აღმოსავლეთმცოდნე, ქართული ენისა და მწერლობის სპეციალისტი. საქართველოში გატარებული სამი წელიწადი უფლებას მაძლევს ვთქვა, რომ რუსთაველის ქვეყანა ჩემი მეორე საყვარელი სამშობლოა, სადაც გული მაქვს დატოვებული.

ახლა ვარშავის უნივერსიტეტში ვმუშაობ, ვკითხულობ ზოგად ენათმეცნიერებას, ვამეცადინებს სტუდენტებს ქართულ ენასა და მწერლობაში. ამ სამი წლის წინათ აღვწერე და გამოვეცი კრაკოვში დაცული ქართული ხელნაწერები. მეცნიერული მუშაობის გარდა დიდ დროს ვუთმობ აგრეთვე ქართული კულტურისა და მწერლობის პოპულარიზაციას პოლონეთში. ამ ცოტა ხნის წინათ ვთარგმნე ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“, აკაკი წერეთლის „სულიკო“ და გიორგი ლეონიძის რამდენიმე ლექსი.

უკვე რამდენიმე წელია ვარშავის გამომცემლობა „ვიეძა პოვშენნა“ სცემს ასეთ სერიას: „ვერცხლისა და ოქროს აზრები“. წელს ამ სერიაში გამოვა ჩემს მიერ შედგენილი ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების კრებული: ანდაზები, სიტყვის მასალები, გამოცანები, ზღაპრები, იგავ-არაკები.

დიდად მოხარული ვარ, რომ მომიხდა მოსკოვში აღმოსავლეთმცოდნეთა XXV კონგრესზე ჩამოსვლა, სადაც ჩემს საყვარელ ქართველ მასწავლებლებსა და მეგობრებს შევხვდი.

მოსკოვი, 16 აგვისტო.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲣᲠᲔᲒᲘ

კარლ ებელინგი

ჰოლანდია



დაიბადა 1924 წელს ქალაქ ზაანდამში. სლავური ფილოლოგიის დოქტორის ხარისხი მიიღო ჰარვარდის უნივერსიტეტში 1950 წელს. ამჟამად ამსტერდამის უნივერსიტეტის პროფესორია.

ᲩᲔᲛᲘ ქართველოლოგობა უშუალოდ დაკავშირებულია ტექსელის აკანყების ცნობილ ამბებთან. იმ ხანად თარჯიმნად ვმუშაობდი. ერთხელ რამდენიმე ქართველს შევხვდი და დავიწყე ქართული ენის შესწავლა. დასახმარებლად მივმართე ნორვეგიელ პროფესორს ჰანს ფოქტს, რომელმაც ილია ჭავჭავაძისა და ნიკოლოზ ორთქიფანიძის მოთხრობები გამომიგზავნა („ოთარაანთ ქვრივი“, „მრისხანე ბატონი“, „ყამთა სიავე“).

საქართველოში ორჯერ ვარ ნამყოფი. იქ ძალიან ბევრი მეგობარი მყავს. ჩემს მასწავლებლად ვთვლი აკადემიკოსებს აკაკი შანიძეს, გიორგი ახვლედიანს, არნოლდ ჩიქობავას, რომლებსაც ამ კონგრესზეც შევხვდი. საქართველოს უნივერსიტეტსა და აკადემიას ხშირად ვუგზავნი ჰოლანდიიდან წიგნებს. დიდად მადლობელი ვარ აგრეთვე იმ ყურადღებისათვის, რომელსაც ისინი ჩემი შაობ, ვკითხულობ ზოგად ენათმეცნიერებას, ვამეცადინებ სტუდენტებს ქართულ ენასა და მწერლობაში. ამ სამი წლის წინათ აღვწერე და გამოვეცი კრაკოვში დაცული ქართული ხელნაწერები. მეცნიერული მუშაობის გარდა დიდ დროს ვუთმობ აგრეთვე ქართული კულტურისა და მწერლობის პოპულარიზაციას პოლონეთში. ამ ცოტა ხნის წინათ ვთარგმნე ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“, აკაკი წერეთლის „სულიკო“ და გიორგი ლეონიძის რამდენიმე ლექსი.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ

ეს სურათი ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა კონგრესის ბოლო დღეს გადაიღო. კავკასიოლოგიის სექციამ მუშაობა დამთავრა, მაგრამ ხომ უნდა დარჩეს ხსოვნა ამ დღისა... და ფოტორეპორტიორიც ხელდახელ იმარჯვებს აპარატს.

აი ის სურათიც, რომელზეც მკითხველი ხედავს ი. იედლიჩკას, დ. ლანგს, ი. ასფალგს, კ. შმიდტს, ჩვენს მეცნიერებს ა.კ. შანიძეს, გ. ჩუბინაშვილს, ვ. თოფურიას, გ. ჩიტაიას, პ. ხუჭუას, მ. ჩიქოვანს, ლ. მელიქსეთ-ბეგს, ვ. ბერიძეს და სხვ. აღმოსავლეთმცოდნეთა მოსკოვის XXV კონგრესის სამახსოვროდ.

ფოტო ს. ონანოვისა.

ᲡᲐᲗᲐᲕᲔ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲐ...

იაროსლავ იედლიჩკა

ჩეხოსლოვაკია

დაიბადა 1901 წელს. 1927 წელს დამთავრა პრაღის უნივერსიტეტი და მიიღო კლასიკური ფილოლოგიის დოქტორის ხარისხი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ პირველად უკვდავმა შოთა რუსთაველმა გამაცნო. ქართული ენის შესწავლა და „ვეფხისტყაოსნის“ ჩეხურად თარგმნა თითქმის ერთდროულად დავიწყე ამ თხუთმეტი-ოცი წლის წინათ.

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი ორი წლის წინათ დავამთავრე და გამოვეცი კიდეც. ვთარგმნე აგრეთვე ილია ჭავჭავაძისა და დავით გურამიშვილის რჩეული ნაწარმოებები. ამჟამად ქართველი საბჭოთა პოეტების ნაწარმოებთა თარგმანზე ვმუშაობ. მომზადებული მაქვს გიორგი ლეონიძის „რჩეული“.

პირველად, 1946 წლიდან, ქართულ ენას ვასწავლიდი აღმოსავლური ენების სკოლაში, ამჟამად კი — პრაღის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ ფაკულტეტზე.

ამ რამდენიმე ხნის წინათ პრაღაში აღმოვაჩინე ერთი ძველი ქართული მანუსკრიპტი, რომელსაც პრაღის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ჟურნალი „არქივ ორიენტალი“ დაბეჭდავს.

ამჟამად საქართველოსათვის ვამზადებ „ჩეხური ენის სახელმძღვანელოს“. ამ სახელმძღვანელოს შედგენაში დიდად მეხმარება თბილისელი ჩეხოლოგი ელენე ერისთავი.

თბილისში პირველად 1957 წელს ვიყავი, მეორედ 1958 წელს. გული კი კვლავ და კვლავ მომიწევს.

ამ კონგრესმა საშუალება მომცა შევხვედროდი არა მარტო ქართველ მეცნიერებს, რომლებთანაც ძმური მეგობრობა მაკავშირებს, არამედ უცხოელ ქართველოლოგებსაც.

ნამდვილად კარგია, რომ დღეიდან ყველანი ერთმანეთს ვიცნობთ.

ეს ნაცნობობა კიდევ უფრო სახალისოს გახდის მუშაობას,

დარწმუნებული ვარ, რომ უახლოეს ხანში კარგა ხნით ჩამოვალ საქართველოში არა როგორც ტურისტი, არამედ როგორც მეცნიერი მუშაკი, რომელსაც გულით უყვარს საქართველო, ქართველი ხალხი.

მოსკოვი, 16 აგვისტო.

ᲩᲔᲛᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ

ჰანს ფოქტი

ნორვეგია

დაიბადა 1903 წელს ოსლოს მახლობლად, ქალაქ ფრედრიკშადტში. ამჟამად ოსლოს უნივერსიტეტის პროფესორია.

კლასიკური ფილოლოგიისა და ინდო-ევროპულ ენათა შედარებითი გრამატიკის კურსის დამთავრების შემდეგ გავემგზავრე პარიზს და იქ შევუფიქრე კლასიკური სომხურის შესწავლას ფრანგ პროფესორ ანტუან მილეტთან.

მალე ქართულმა ენამ გამიტაცა. ქართული ჯერ გერმანელი პროფესორის დერის გრამატიკის, ხოლო შემდეგ აკაკი შანიძის გრამატიკის საშუალებით შევისწავლე. ოცდაათიან წლებში ბედნიერება მხვდა ჩამოვსულიყავი საქართველოში. თბილისში ერთ წელზე მეტ ხანს დავყავი 1932 წლის ოქტომბრიდან 1933 წლის დეკემბრამდე. ამ წლებს ჩემი სიცოცხლის ყველაზე ბედნიერ წლებად ვთვლი.

იმ გულითადი სტუმართმოყვარეობის წყალობით რომელიც შორეული ქვეყნიდან ჩამოსულ ახალგაზრდა მეცნიერს აღმომიჩინეს ქართველებმა, საქართველოს მშრომელებმა საშუალება მომეცა ... ...